№ 121

პარასკევი, 10 ივნისი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 121

პარასკევი, 10 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“

გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

გამგეობა **„შუამავალის“** ამხანაგობისა ამით აცხადებს, რომ წევრთ ამხანაგობისამ უნდა წარმოადგინონ შემდეგი საწევრო გარდასახადი ამა მდგომარე თვის დამლევამდე.

ადრესი: Въ контору Товарищества „Посредникъ“.

(3—1353—2)

პარასკევს, 10 ივნისს

მისკიდის ბაღის საზაფხულო სცენაზედ ქართველი მგალობელთა ხორო ბნ. რატილის ლოტბარობით გამართავს

კონცერტს.

შესრულებული იქნება ხოროს მიერ:

I

„ცხენოსნური“, „სალამს გიძღვნი“, „ორთავ თვალის“, სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით. ბ-ნი ი. რატილი. „აჰ! მეზურნე“, „ვის რა უნდა“, „დიდება“ სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი.

II

„გალიაში“, „მიდის გემი“, „ეს ბაღი“, სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი „ნანა“, „შევსვათ ხელადით“, „გაიფურჩქნა“ სოლოს შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნა ი. რატილი.

III

„საშოვნელს ნაშოვნი სჯობია“
ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი
მოთამაშენი: ქ-ნი ნებიერიძისა, ბ-ნნი აბაშიძე და ადამიძე.

IV

„ქონა“, „ლაჟვარდ ცაზედ“, შეასრულებს ხოროს აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი „მგზავრული“, „მარში მგალობელთა“. „დილა“, სოლოს ხოროს აკომპონიმენტით შეასრულებს ბ-ნი რატილი.

ბაღში 7 საათიდამ დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

კონცერტი დაიწყება 8½ საათზედ.

ტფილისი, 10 ივნისს

მაის-თიბათვე საშინელი დროა მოზარდ და მოსწავლე ახალგაზდობისათვის. ამ თვეში განიკითხავენ, ამ თვეში მოჰკითხავენ ხოლმე მთელის წლის ნასწავლს და იმის პასუხზედ არის დამოკიდებული, გადაიყვანენ შემდეგს კლასში ახალის ცოდნის შესაძენად, თუ იქავე დასტოვებენ ძველის განსამეორებლად, რითიც მთელი წელიწადი ეკარგება, ხალისი ესპობა, გული უტყდება. კიდევ კარგი, თუ მოსწავლე ზარმაცი იყო, არა სწავლობდა, ასეთი სასჯელი სამართლიანი იქნება. მაგრამ ხშირია ისიც, რომ კარგს მოსწავლეს წლიურ გამოცდის დროს ბედი ჰღალატობს ხოლმე და შუათანას—სწყალობს. ეგზამენი იგივე ლატარიაა: თუ ადვილი საპასუხო ერგო კენჭის ყრით, რასაკვირველია, ნაკლებ მცოდნეც თავს გაიტანს, ხოლო თუ ძალიან ძნელი, ბეჯითს ბავშვსაც უჭირდება მისი ახსნა, ან შეკრთომისა, ან შიშისა და ან მოქანცვისა გამო, ან იქნება იმიტომაც, რომ შეიძლება კარგს მოსწავლეს სწორედ ის საპასუხო ერგოს, ათასში ერთი, რომელიც ცუდად ახსოვს და ცუდს—სწორედ ის ერთად-ერთი, რომელიც კარგად აქვს გაზეპირებული. ვიკითხოთ ახლა, განა სამართალი იქნება, რომ პირველი შემდეგს კლასში იქმნას გადაყვანილი და მეორე-კი—დატოვებული?!.

ამას გარდა, მეორე ცუდი თვისებაცა აქვს ეგზამენებს. ამ დროს ბავშვი ჰღელავს, აციებ-აცხელებს, შიშსა და მოლოდინშია, რადგან არ იცის ბედი გაუღიმებს და შეიძლებს შემდეგს კლასში გადასვლას, თუ არა. მერე ეს დრო ზაფხულობით მოდის, მაშინ, როდესაც უამისოდაც დაღალულსა და მოქანცულს ბავშვს დასვენება სჭირია მთელის წლის სწავლის შემდეგ.

აი კიდეც ამ გარემოებათა გამო 1891 წლის 12 მარტის საეგზამენო წესებში დადგენილია, რომ საპედაგოგიო საბჭოს სასწავლებლისას შეუძლიან ბავშვი უეგზამენოდაც გადიყვანოს შემდეგს კლასში, თუ ვინიცობაა იგი რომლისამე მიზეზით არ დაესწრო ეგზამენს და მთელის წლის განმავლობაში-კი კარგად სწავლობდაო. თითონ ეს დადგენილი წესი საერო განათლების სამინისტროს მიერ აშკარად ამტკიცებს, რომ იგი დიდს მნიშვნელობას არ !აძლევს ეგზამენებს და სცდილობს მის შეზღუდვას, შესუსტებას. ამ წესის წყალობით სასწავლებლების მთავრობას შეუძლიან კარგად მოსწავლე ბავშვი ააცილოს ეგზამენების ციებ-ცხელებას და იხელმძღვანელოს არა იმითი, თუ ამა-და-ამ დღეს როგორი იყო ბავშვი, არამედ იმას მიაქციოს ყურადღება, მთელის წლის განმავლობაში ბეჯითობდა იგი, სწავლობდა, ითვისებდა გაკვეთილებს, თუ ზარმაცობდა. ან-კი რა გამოცდა, რა ეგზამენი უნდა იმ ბავშვს, რომელიც მთელის წლის განმავლობაში გულ-მოდგინედ სწავლობდა და რომლის მადლიერებიც არიან მასწავლებლები?..

ეს სამინისტროს მიერ საკეთილოდ დანახული წესი რომ იყ ას შემოღებული, მაშინ მოსწავლეები უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდებიან გაკვეთილებს, სასწავლო საგნებს წლის ბოლოსთვის არ გადასდებენ, როგორც ეხლა სჩადიან ბევრნი იმ იმედით, რომ საეგზამენოდ მოვამზადებთ და რაკი ეგზამენს კარგად გადავიხდით, რა მნიშვნელობა აქვს, ეხლა თუნდა გვცოდნია, თუნდა არაო. ამას გარდა, მასწავლებლებიც უფრო გულ-დადებით ჩაუკვირდებიან ყოველს მოსწავლეს, მთელის წლის განმავლობაში თითოეულის სწავლას რიგიანად ადევნებენ თვალ-ყურს, ამითი უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს მოსწავლე და მასწავლებელი, რაც, რასაკვირველია, სწავლის საქმეზედ კეთილად იმოქმედებს.

ეგზამენები დიდი ხანია, თუ მავნებლად არა, სასარგებლოდ არ არის მიჩნეული, დიდი ხანია საჭიროდ და საკეთილოდ არის დანახული მისი, სრულიად მოსპობა თუ არა, შემცირება, შემოკლება მაინც. ამ აზრს ადგას თვით საერო განათლების სამინისტროც, მაგრამ სასწავლებლების მთავრობანი როგორღაც ყურადღებას არ აქცევენ ამ ფრიად შესანიშნავს საგანს. მხოლოდ პეტერბურგის სამოსწავლო ოლქმა მიაქცია საეგზამენო წესების გამოცემისათანავე ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება და ამ ოლქის მზრუნველმა საყოველთაო განკარგულება გამოსცა, რომელშიაც აღნუსხულია ყოველივე მავნებლობა ეგზამენებისა და იგი სრულიად მოსპობილია იმ მოსწავლეებისათვის, რომელნიც მთელის წლის განმავლობაში კარგადა სწავლობენ.

აგერ უკვე სამი წელიწადი გავიდა, რაც პეტერბურგის სამოსწავლო ოლქში ოლქის მზრუნველის მიერ ეს წესი იქმნა შემოღებული და, როგორც ეხლა აღმოჩნდა, ეგზამენების მოსპობას ფრიად კარგი შედეგი მოჰყოლია, საკეთილოდ უმოქმედნია სწავლის საქმეზედ. ასეთსავე წესს დაადგნენ დროებით მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების სასწავლებელში საცდელად და წრევანდელი ანგარიში ამ საზოგადოებისა ამბობს, რომ ეგზამენების გაუქმების გამო მოსწავლენი უფრო ბეჯითად და გულ-მოდგინედ ეკიდებიან თავიანთს საქმესაო. საკვირველია, თუ ეს წესი სცადეს და, როგორც მოსალოდნელიც იყო, კეთილად იმოქმედა სწავლის საქმეზედ, რატომ სხვა სამოსწავლო ოლქებშიაც და, სხვათა შორის, კავკასიისაშიაც არ შემოიღებენ და არ შეუმსუბუქებენ მოსწავლეებს მძიმე ტვირთს ეგზამენების გარდახდისას?!.

დიდად სასურველია, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა საფუძვლიანი ყურადღება მიაქციოს ამ საგანს, ჯეროვანის გულ-დადებით ასწონ-გაზომოს მისი ავ-კარგი, ანგარიში გაუწიოს აქ მოხსენებულს მაგალითებს და, თუ შესაძლებლად დაინახავს, ჩვენშიაც შემოიღოს ეს, ჩვენის აზრით, ყოვლად სასურველი წესი.

ფარნაოზი

◆ ◆

ფელეტონი

ქაჯი-ძებნია

III

(დასასრული*)

ცემეტი დღის უკან, თინიას ქოხი სავსე იყო მომტირლებით. ეზოში აუარებელი ხალხი იდგა. ყველა ცრემლით ილვრებოდა, საცოდავ თინიას მოთქმა ტირილი რომ ესმოდათ. მოზარეები ორ წყებად მოუძღვებოდნენ მომტირლებს და ყოველ მხრიდგან გულ-საკლავი ტირილის ხმა მოისმოდა. საღამოს ჟამმაც მოატანა...

შემოსილი მღვდელი ხელში საცეცხურით, მოუძღვებოდა ობლის ლარიბად მორთულს ცხედარს, რომელსაც ლოყებ დაგლეჯილი, თმა გაწეწილი და მსხვილის ძაძებით შემოსილი თინია მოსდევდა და გულ-მკერდის წიწკნით შეუწყვეტლად მოჰგოდებდა.

— რომ მირბიხარ ბიჭო, სად მიდიხარ, შენს უბედურს დედას, რა იმედს უტოვებ! დიმიტრია, შვილო, დიმიტრია, მომიბრუნდი შენი ლამაზი თვალების ჭირიმე. აღარ გეცოდები შვილო, აღარ გინდა შენი გაჭირვებული დედა და მცილდები, მარა ვისთან მიდიხარ, ვისი იმედი გაქვს ჩემო ალალ-მართალო შვილო? რას მერჩოდა ის წყეული ქაჯი, ვინ დამწყევლა ასე, რომ „უშვილ-ძიროდ გადაშენდი თინიაო“. დაიქცა შენი საწყალი დედ-მამის ქოხი, დამესხა ცეცხლზე წყალი და ამაღოლე, მარა დედაშვილობამ იმდენს ვეცდები, შენს მომკვლელ ქაჯს მოვაკვლევინებ თავს. დღე და ღამე ტყეში ვიქნები, რომ მეც შემხვდეს ის წყეული და მომკლას.

აგერ მაქვს მისი დანა, ამით გაპირობდა შვილო დაკვლას და ახლა მეც ამით უნდა მოვკლა, ან უნდა მომკლას ჩემო დედა. ასე მოსთქვამდა საწყალი თინია შეუწყვეტელად.

— კარგი შე უბედურო, მოისვენე, ეს ხუთი დღეა ასე ქაქანობ, მაგრამ რა გაგიკეთდა. უთხრეს გვერდით მდგომებმა თინიას, მაგრამ ის ყურს არავის უგდებდა, მისდევდა ცხედარს, უსვამდა ხელებს და მუჭ-მუჭად აყრიდა დაწიწკნილ თმებს.

ცხედარი მიასვენეს ეკკლესიაზე და გაისმა ნელი ხმა მიცვალებულის ზარისა; ეკკლესიაზე შემოვლის შემდეგ დაასვენეს მამის გვერდით ღრმად ამოთხრილ სამარესთან, სადაც მოძღვარმა წესის გარდახდა დაიწყო.

საბრალო თინია, თითქო ახლა დარწმუნდა შვილის სიკვდილით; საზარლად დაიკივლა და გაექანა შვილის საფლავისაკენ.

— მე უნდა ჩავწვე დიმიტრიას საფლავში; გამიშვით, გამიშვით, მიწაში უნდა ჩავყვე ჩემს თმა-ხუჭუჭა ბიჭს. მეც მაგასთან დამმარხეთ თქვენი ჭირიმე, ნუღარ დამტოვებთ მე აძაღლებულს. ეხვეწებოდა თინია ხალხს, მაგრამ არ უშვებდნენ საფლავისაკენ.

— კარგი შე უბედურო, მოითმინე რაღა გაეწყობა. გამოეთხოვე შე საცოდავო. უთხრეს მეზობლებმა.

— გამოვეთხოვეო?.. ვის გამოვეთხოვო! ჩემს ერთად ერთს შვილს გამოვეთხოვო, მაგ მიწაში ჩავაგდო და მე ცოცხალი დავრჩე... რას მეუბნებით ღმერთი არა გწამთ?! ვისთან დავტოვო ჩემი ობოლი ბიჭი?.. შვილო დიმიტრია, რას მოესწრო შენი საწყალი დედა... ხლიჩინებდა საბრალო თინია. მერე მიუჯდა კუბოს, გადაიღელა გასისხლიანებული მკერდი, მოხვია ხელები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავი დაახეთქა ცხედარს.

— კარგია, ააცილეთ ეგ უბედური კუბოს, თორემ თავს მოიკლავს. მოჰკიდეთ ხელი, არა გრცხვენიათ მაგოდენა ხალხი ერთ დედაკაცს ვერ მოერიეთ? სთქვა მოძღვარმა.

თინიას, ისე ღონივრად დაერტყა საფეთქელი კუბოზე, რომ ცამეტის დღის მშიერ-წყურვალს და შეუწყნარებლად მომთქმელს, გული წასვლოდა, მაგრამ ხელები ისე ღონივრად ჩაეჭიდა კუბოსათვის, რომ ძლივს-ძლივობით ააგლიჯეს შვილის ცხედრიდგან. მიცვალებული ჩაუშვეს სამარეში და გაისმა საზარელი ხმა მიწის გრიალისა. სრულიად უგრძნობელ თინიას-კი სახლისაკენ მიათრევდნენ მეზობლები.

IX

შვილის სიკვდილს შემდეგ საბრალო დედაკაცი საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცა: ყანა-ბოსტანის მუშაობაზე ხელი აიღო და საქონელი, ხომ, სულ თვალით აღარ დაენახვებოდა. ჭამა სმასა და ჩაცმაზე

იხ.) „ივერია“, № 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა

თქმული საქართველოს ეგზარხოსის მიერ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა მიმართ სათავად-აზნაურო კრების დღეს დაფიცვის წინად

საქართველოს დიდ სახელოვანნო,
კეთილშობილნო თავად-აზნაურნო!

ეს ეხლანდელი გარემოება, დიდად საჩინო ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში, მავალებს მე, მღვდელთ-მთავარსა და მსახურს წმინდისა ეკკლესიისას სიტყვის თქმას თქვენს წინაშე, მაგრამ უღონოდ ვრაცხ ჩემს თავს, ვხედავ-რა ესრეთს პატიოსანსა და სახელოვანს კრებას, რომელიცა არის ყვავილი აქაურის საზოგადოებისა. ან რა შემიძლიან ვსთქვა ისეთი, რასაც არ გაგონებდეთ თქვენი პატიოსანი სვინიდისი და გამოცდილება იმ საქმეში, რომელსაც დღეს უნდა შეუდგეთ. ჩემი დარიგება არც გეჭირებათ, მაგრამ მსურს მაინც მოვიქცე თქვენდამი ჩემის სიტყვით, არა როგორც მოძღვარი და მასწავლებელი, არამედ როგორც თანამომუშაკე თქვენს საზოგადო ყანაში და მსახური ქრისტეს ეკკლესიისა, რომელიც არის ნამდვილი მასწავლებელი ყოვლისა ჭეშმარიტებისა და რომლისა ყოვლადი სიკეთე და სარგებლობა შეესაბამება საზოგადოების სიკეთესა და სარგებლობასა.

თქვენ უნდა აირჩიოთ ღირსნი და სარწმუნონი საზოგადო თანამდებობის აღსასრულებლად. რამდენადაც წმინდა და უმაღლესია ეს საქმე, იმდენადვე ძნელია. ცხადად ჰხედავთ, რასაკვირველია, ამ საქმის სიწმინდეს, ჩინებულებას და სიმძიმეს. ეს საქმე ისეთი საცდელი ქვაა, რომელიც გამოაჩენს თქვენს ღირსებას, განათლებას და სვინიდისს. ნათქვამია: „სხვის გული ძნელი საცნობია“. ძნელი და თითქმის შეუძლებელია სწორედ დააფასოს კაცმა და გამოიცნოს, თუ რაოდენად სარწმუნო იქმნება აღრჩეული. მაშასადამე, საჭიროა კაცმა იხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში ისეთის გარემოებით, რომლითაც შეიძლება სცნას ჭეშმარიტება.

არჩევისა ანუ კენჭის ყრის დროს უნდა გამოჩინოს ყველამ ყურ-მახვილობა, თვალის გადევნება და ერთგულება. ხშირად გვესმის და ვკითხულობთ, რომ არჩევანების საქმეში დაუდევნელადა და გულ-გრილად იქცევიან. უგულოდ აღრჩეულნი და თანამდებობაზედ დადგენილნი ყველასათვის სასურველნი არ აღმოჩნდნენ. აღრჩევა არა სასურველისა არ შეიძლება მიეწეროს უბრალო შემთხვევას. მართალია, ხანდისხან შემთხვევითაც აღირჩევენ ხოლმე ღირსეულსა და სასარგებლო კაცს, მაგრამ საზოგადოთ რომ ვსთქვათ, საშიშია ასეთი მძიმე საქმე მიენდოს უბრალო შემთხვევას. რადგანაც ხშირად გულდადებით არ ექცევიან არჩევანებს, ამისათვის ეხლანდელ დროში მაგრე რიგად აღარც უჯერებენ კენჭით გადაწყვეტილ საქმეს, ხმის უმეტესობით ამორჩეულს, თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც კენჭის ყრა იქმნა შემოღებული. თუ გულ-მოდგინედ შეუდგა კაცი კენჭით აღრჩევას და დაახლოვებით სცნა ასარჩევნი, მათი ღირსება და თვისებანი, მაშინ კიდევ შეიძლება ასცდეს შეცდომას, და მისის საქციელისაგან ზარალი და ვნება არა წარმოსდგეს-რა საზოგადო სასარგებლო საქმეში.

მაგრამ არჩევანების საქმეში არა კმარა მარტო ოდენ გულ მოდგინედ მოქცევა. გულმოდგინობას გარდა, თუ გვინდა სიმართლის გზაზედ გავიაროთ, უნდა პირუთნეველად მოვექცეთ საქმეს, გამოვიკითხოთ და ავწონ-დავწონოთ ასარჩევის კაცის თვისებანი. არჩევანების დროს, როგორც ჩვენში, ეგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც, მიკერძვით იციან, ამომრჩეველნი ერთმანერთს მხარს აძლევენ, ხოლო ასეთი გარემოებით შეუძლებელია შესრულდეს სასარგებლო აზრი და საზოგადოება დაადგეს გარკვეულსა და მტკიცე გზას. ასეთი მიკერძვა და მომხრობა შენდება მუდამ საამხანაგო გრძნობაზედ, კერძო და საპირადო სიძულილსა და სიყვარულზედ; შენდება ხშირად მოსყიდვაზედაც. ამ სათავედგან წარმომდგარი ქიშპი დასებს შორის დიდად სავნებელია ისეთის საზოგადო საქმისათვის, როგორიც არის არჩევა თანამდებობის კაცთა. მართლაც და რას შეუძლიან ავნოს საქმეს და მერე ამ გვარ საზოგადო საქმეს ისე როგორც ავნებს მიკერძვით მიმართული აზრი, პირად ანგარიშზედ დამყარებულის ვარაუდითა?!.. ვინც არ იცის, რომ პირადი სარგებლობის მიმდევარნი აღარ დაეძებენ საზოგადო სარგებლობას და ხშირად საკუთარის სურვილის აღსრულებას უფრო ეტანებიან, ვიდრე საზოგადო სარგებლობის დაცვას; ამის გამო ჩნდება ჩვენს საზოგადოებაში არა ერთი და ორი შესაწუხარი საქმე და უბედურება, რომლისათვისაც შემდგომ ვსწუხვართ ბოლოს და ვამბობთ: რატომ წინადვე არ გამოვიძიეთ ყოველივე, არ შევიტყეთ ისეთი საჭირო საბუთები და ნიშნები, რომ სწორედ დაგვეფასებინა საზოგადოების ესა თუ ის მუშაკი და მოღვაწე. მაშასადამე, როდესაც ვირჩევთ ვისმე გამოჩინებულსა და საზოგადო თანამდებობაზედ დასადგენად, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ასარჩევის კაცის მოქმედებასა და ცხოვრებას, და გავსინჯოთ, რა სარგებლობა მოუტანა მან თავის მოღვაწეობით სხვა-და-სხვა საქმეში საზოგადოებასა ან რით დაიმსახურა სახელი; თუმცა ისიც-კი სათქმელია, რომ ხშირად ჭეშმარიტად სასარგებლო და გამოსადეგ კაცზედაც სიკეთეს არ ამბობენ და ამის ნაცვლად მის მოქმედებას ამცირებენ მიკერძვისა და პირადის ანგარიშისა გამო, ან სულ უბრალო მცირედის მიზეზით. მაინც, რაც შეიძლება, ყველა უნდა ერიდოს არჩევანებში უკანონო გზას, საზოგადო ინტერესი უნდა ამჯობინოს კერძო ინტერსს და ეს უკანასკნელი უნდა შესწიროს პირველს.

დიდი გულს-მოდგინება და მიუკერძველობა და პირუთნეველობა არჩევანების დროს საჭიროა უფრო იმიტომ, რომ ეს საქმე უბრალო და კერძო საქმე არ არის. ამისთანა საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს და საზოგადოებაზედაც ჰმოქმედობს. ბევრჯელ უკანონო საქციელი ამომრჩეველთა, მათი მოუფიქრებელი და პირმოთნეობაზედ დამყარებული არჩევანი ცუდად ჰმოქმედობს სხვაზედ, ჰრყვნის და აფუჭებს ქვეყნის ზნეობას. რასაკვირველია, პატიოსანთა და ჭეშმარიტად კეთილშობილთა, რომელნიც უმჯობესი და უკეთესი ნაწილია საზოგადოებისა, არ აქვსთ თვისებად იპირმოთნეონ და ითვალთმაქცონ, ხოლო ამათთანა ღირსეულნი არ უყვართ ბევრთ და ამისთვის არც ირჩევენ რომელსამე თანამდებობაზედ. ხოლო ამათ მაგიერ ნდომობენ, რომ არჩეულ იქმნენ ისეთნი, რომელთაც არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით და სცდილობენ ისე მოაჩვენონ თავი ქვეყანას, ვითომ დიდი ბრძენნი და კეთილის მყოფელნი არიან მთელის კაცობრიობისა; ნამდვილ-კი ეძიებენ მხოლოდ კერძო სარგებლობას, პირადს სიამოვნებას. რაღა საკვირველი უნდა იყოს, თუ ამგვარ კაცთა ხელში საზოგადო საქმე ვერ წავა რიგიანად. ჩვენ თვითონ ეს კარგად ვიცით, მაგრამ თავის დროზედ არ ვფიქრობთ, რო მოვიხმაროთ სასიკეთოდ ჩვენი უფლება და ბოლოს ჩვენვე გვიკვირს, ეს რა საქმე დაგვემართაო. პატიოსანნი კაცნი-კი ამისთანა საქმეში იქცევიან ნამდვილ კეთილშობილურად, არ ჰლალატობენ სვინიდისს, პირს წინდა-წინვე არავის აძლევენ და თავის დროზედ ანებებენ თავს ცუდად დაწყებულს და უკანონოდ წარმოებულს საქმეს, ამისთანა პატიოსანნი არ ესიამოვნებათ მოწინააღმდეგეთა, რომელთაც სვინიდისი ყოველთვის არ ამხილებს და რომელნიც მიიღებენ თუ არა თავის მლიქვნის ენით და პირფერობით რომელსამე თანამდებობას და უფლებას საზოგადოებაში, ცდილობენ თავიდგან მოიშორონ ჭეშმარიტად ღირსეულნი რადგანაც ჰგონებენ, რომ ისინი ჩვენთვის მავნებელნი და ჩვენი მოცილენი არიანო. ხშირად ძალადობასაც არ ერიდებიან ამისთანა შემთხვევაში ზოგიერთნი პატივმოყვარეობით აღძრულნი. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ისმის ჩივილი არჩევანებისა და ხმის უმეტესობით საქმეთა გადაწყვეტის წინააღმდეგ. ეგ არჩევანები უფრო ჰრყვნის საზოგადოებას, აქვეითებს მის ზნეობას, ახშობს ნათელს და ბნელში აგდებს ქვეყანას. მაშასადამე, მხოლოდ ერთგულება საქმისა, სინიდისიანობა, უანგარობა, მხოლოდ გულითადი გამორკვევა კაცის ღირსებათა და ჭეშმარიტებით დაფასება იმის ნიჭისა, ზნეობისა და დამსახურებისა იხსნის ამ გვარ კრებას საყვედურისაგან და საზოგადოებას—ზნეობრივის შეწუხებისა და გაფუჭებისაგან. თავად-აზნაურთა კრება, შემდგარი ამისთანა საქმისათვის მომეტებულად უნდა ერიდოს ისეთს საქციელს, რაც-კი შეიძლება გადაეკრას ლაქასავით თავად-აზნაურთა სახელს. თავად-აზნაურთა კრება უნდა იყოს ყოველთვის სასურველი მაგალითი სხვა ამ გვარ კრებათათვის. უკეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე? (მათ. 6,23) იტყვის წმიდა სახარება. უკეთუ ნათლისა, მეცნიერებისა და განათლებისა წარმომადგენელთა კრება მოიქცევა ურიგოდ, მაშასადამე უმეცარისა და გაუნათლებელისაგან რაღა წარმოსდგება რიგიანი? ამისთანა საქმეში, როგორც სხვა საჩენ ქცევაში, ნუ დავენდობით ჩვენს თავს და ჩვენს ცოდნას; უნდა გვახსოვდეს რომ უკეთუ არა უფალმან დაიცვას ქალაქი, რა არს მღვიძარება მხმალავისა. რაც უნდა საქმის მცოდნენი და შორს განმსჭვრეტნი იყვნენ ამომრჩეველნი, რაც უნდა ფრთხილნი და მოშორებულნი იყვნენ ყოველს მიმკერძველობას, რაც უნდა მაღალის ზნეობისანი, იყვნენ აღრჩეულნი კანონიერი იყოს კენჭით აღრჩევა, მაინც სარგებლობა არ ექნება საზოგადოებას, თუ ღმერთი თავის უხილავის მადლითა არ შეეწია და არ წარუმართა ხელი, როგორც აღმრჩეველთა, ეგრეთვე აღრჩეულთა. ბუნება კაცისა, როგორც იცით, დაცემულია, მუხანათი და დაუყენებელი. კაცის ცხოვრება წარმოგვიდგენს იმგვარს განურჩეველს საფრთხეს, იმგვარ ძლიერებისა, მიმართულებისა და ანგარიშის ბრძოლას, რომ კაცს, თუნდა გენიოსი იყოს და დიდის ძლიერების პატრონი, არ შეუძლიან მოიხმაროს თავის ძალა სასარგებლოდ არც დიდისა საზოგადოებისა და არც მცირედისა იმის ნაწილისა. მხოლოდ ყოვლად შემძლებელს, ყოვლად მეცნიერს და მმართველს ცისა და ქვეყანისას შეუძლიან შეათანხმოს პირადი და საზოგაო ცხოვრება და მოთხოვნილებანი და წარმართოს სასიკეთოდ ყოვლად ძლიერითა მარჯვენითა თვისითა. იმისთვის შეიკრიბენით თქვენ დღეს ამ ტაძარში, წინაშე ღვთის ტრაპეზისა, რომ გამოითხოვოთ ღვთისაგან ყოვლად-ძლიერი იმისი შემწეობა შესასრულებლად თქვენის წმინდის საქმისა და წინაშე ეკკლესიისა წარმოსთქვათ ფიცი იმაზედ, რომელ წმინდის სინიდისით ისარგებლებთ იმ უფლებით, რომელიც თქვენ გაქვსთ უმაღლესად მოცემული და ერდგულად შეასრულებთ თქვენ იმ მოვალეობას, რომელიც თქვენ განდოთ უმოწყალესმა ხელმწიფემა და საზოგადოებამა.

ვევედროთ მეუფესა ცის და ქვეყანისასა, რათა მოავლინოს თქვენზედა თვისი მადლი და, მიმღებელმან თქვენისა ფიცისა, მოსცეს სულსა თქვენსა შემწეობა შესასრულებლად თქვენისა საქმისა მშვიდობით, წესი-

---

აღარ ზრუნავდა. დაკონკილ ძონძებში გახვეული, ფეხ-შიშველა თინია, ხან იმ ტყეში დადიოდა, სადაც ქაჯმა მისი შვილი გალახა და, ხან ეკკლესიის ეზოში, ქმარ-შვილის ორ საფლავ შუა იჯდა და გულსაკლავად მოსთქვამდა. თინია ბევრჯელ უნახავთ სიმშილისაგან ისე მისუსტებული, რომ ტირილის ღონეც აღარ ჰქონებია, მაგრამ საყვარელ საფლავებს მაინც არ შორდებოდა. ჩაწვებოდა ამ ორ საფლავ-შუა და ღამეს იქ ატარებდა.

ათასში ერთხელ თუ ვინმე მოაწოდებდა თინიას საჭმელს, იშვიათი შემთხვევა იქნებოდა, რომ იმას გამოერთმია; აგრეთვე, რამდენსაც უნდა ხვეწნოდნენ სახლში შემოდიო, ის მხოლოდ ამას იტყოდა, რომ „არა მცალიან, ქაჯი უნდა ვიპოვნო და ამ დანით უნდა მოვკლაო“. იტყოდა ამას, ამოიღებდა სარტყელში გარჭობილ დანას, ახედ-დახედავდა და გაბრაზებული გაექანებოდა ტყისაკენ.

ოთხი წლის განმავლობაში ასე დადიოდა თინია, რის გამოც ყველა „ქაჯი ძებნია“-ს ეძახდნენ და შეშლილად ჰყავდათ მიჩნეული. სოფლის პატარა ბიჭები ამ სიტყვებით გამოეკიდებოდნენ ხოლმე თინიას: „ქაჯი ძებნია“, რა ჰქენი ვერ იპოვნე ქაჯიო? მაგრამ თინიას, თითქო არ გაუგონიაო, ყველას ისე გულ-გრილად აუვლიდა გვერდს და ყურადღებასაც არ აქცევდა.

თინიას ბრწყინვალე ოცნება გაჰქრა და მისი სახლის კერა ჩანელდა. უპატრონოდ დატოვებული სახლ-კარი გაოხრდა; სასიმიდე და ბეღელი დალპა და ჩამოიქცა; სახლის სახურავი, ცალ მხარეს ქარმა გადაჰგლიჯა, მეორე მხარეს-კი რამდენსამე ადგილას კიდევ იყო შერჩენილი. დასუფთავებულ კარმიდამოსა და ლამაზად გამწკრივებულ ბოსტნის კვალების ნაცვლად, ახლა იქ ნახავდით გვიმბრა ანწლითა და შამბით მოცულს, გატრამალებულსა და გავერანებულს ეზოს, რომელიც სოფლის ჯოგთა სათელად გამხდარიყო.

ბრწყინვალე აღდგომათენ დებოდა. სადღესასწაულო ზარის წკრიალი მოისმოდა სოფლებში, და მორთულ-მოკაზმული ხალხი, ეკკლესიისაკენ მიეშურებოდა. მიცვალებულთა საფლავებზე მათ ჭირისუფლებს სანთლები აენთოთ და წითლად შეღებილ კვერცხებს უკვლევდნენ. მარტო ორი საფლავი იყო უსანთლოდ, რომლის შუა, გულ-ხელ დაკრეფილი თინია იჯდა და დაჰჩერებოდა. მის ახლო მდგომ, მრავალ წლოვან ნაძვს დიდრონი ტოტები ძირს დაეშო და თავ-დახრით მდუმარედ დაჰყურებდა ქვრივის მოწყენილს სახეს, თითქო თანაუგრძნობდა მის მწუხარებას.

მლოცავებთა რიცხვი, თანდათან ემატებოდა ეკკლესიის გალავანს. და აი თინიას საშინელი სურათი წარმოდგა თვალ-წინ: ღანდად მოეჩვენა გრძელ-თმიანი, დიდრონ კბილებ გადმოყრილი და თვალებ გადმობრიალებული ქაჯი, რომელიც ხელში ატრიალებდა იმ გვარსავე დანას, როგორიც თინიასა ჰქონდა.

თინიამ ერთი გულიანად გადიხარხარა, თვალის დახამხამების უმალ წამოხტა და გაექანა მომავალ ხალხისაკენ.

— ახლა სად წამიხვალ, შე წყეულო, ხომ გიპოვნე... წამოიძახა თინიამ, მივარდა ერთს კაცს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამეტებით ჩაჰკრა გულში, ქაჯის დანა—ესეც შენ, შენი რჯული-კი დაიწვას... სთქვა თინიამ გადისროლა სისხლიანი დანა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, თითონაც გულ-წასული დაეცა.

— რა ამბავია, რა ამბავი? შემოესია ხალხი მომაკვდავს კაცს, რომელსაც გულიდგან სისხლი ისე გადმოსდიოდა, თითქო შადრევანი ამოჰქუხსო.

— მომკლა თინიამ წამოილაპარაკა მომაკვდავმა ნიკოლოზამ და თვალები შეაშტერა მოძღვარს, რომელიც ზიარებას აწვდიდა.

— მიიღე, შვილო, წმიდა საიდუმლო. უთხრა მოძღვარმა და მიუტანა კოვზი ტუჩებთან.

— არა მამაო, ჯერ აღსარება და მერე... მერე... შემცოდე ვარ და ღირსადაც მომკლა... მე ვარ მისი შვილის... ქაჯი, მიყვარდა და რადგან არ წამომყვა, ვიფიქრე, შვილს შევუშინებ და წამომყვება რომ გაუჭირდებ... დათვის ტყავი... ვაი მოვკვდი... მაზაა... ველარ დაასრულა. მომაკვდავს კბილები შეეკრა და განუტევა სული.

განდეგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად, თანხმად კანონისა, არა მიკერძვით, არამედ სასარგებლოდ მთელის საზოგადოების და არა მხოლოდ ერთისა რომელისამე წოდებისა და პირისა.

◆◆

დამაკვირდი

თუ კაცი ცოდნას ეძებს მარტო ცოდნისათვის და არა ნაყოფიერად სარგებლობისათვის, იგი კაცი სულელია.

ვერსელი

**

საბრძნით შენდება სახლი, გონიერებით მტკიცდება და მოხერხებით ივსება უნჯითა და მშვენიერებით.

სოლომონ

**

ნუ დაუთმობთ (ბიწიერებს) მთავართა სადიდისათვის, ნურცა გლახაკთა სიმცირისათვის.

თამარ მეფე

◆◆

მემამულე და გლეხი

(წერილი გურიიდამ)

ვინ არ იცის, რომ ქვეყნის არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა მიწის მუშა, მხვნელ-მთესველი ხალხი, ურომლისოდაც ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ამ ჩვენის მარჩენალ ხალხის მდგომარეობა დღეს ვერაფერი სახარბიელოა და შემდგომისათვის, თუ არ უარესობის, გაუმჯობესობა-განკარგების იმედი ძალიან ნაკლები უნდა გვქონდეს. სასურველია და სანატრელი, რომ ეს ხალხი თანდათან არ გაღატაკდეს, არ დაბეჩავდეს, არ შეიქნეს ბოგანო, უმწეო და მუშაობაზე გული არ აიცრუოს. ბევრი დრო არ უნდა, რომ მიწა ერთიან მოიჭამ-მომოდვილდეს, გამოიფიტოს და, გასასყიდი-კი არა, სარჩოც აღარ მოგვივიდეს, რადგან ყველა იმის ფიქრშია, უყანოდ არ დარჩეს ჩემი „ადგილი“, არ მოსცდეს, თორემ ადგილს რომ დაზოგვა, მოსვენება და მოუყება უნდაო, ამას არავინ დაგიდევთ. ამის მაგალითს რუსეთის შიდა გუბერნიებში ვხედავთ. ადგილის გამოფიტვას და მოუსავლობის გარდა, სანამ ამას მოვესწრობოდეთ, სხვა გარემოებაც ხელს შეუწყობს მხვნელ-მთესველის გაღატაკებას.

უცხო და ახალი ამბავი არ არის, რომ ჩვენში გლეხ-კაცებს სულ ცოტა ადგილ-მამული აქვთ: „სანადელო“ მიწა, რომელიც ერთმა კომლმა დაიწერა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, ხალხის გამრავლების გამო, დღეს სამ-ოთხ კომლზედ არის დაყოფილი. სახაზინო მიწები რომ მისცენ და ზომიერი ფასი გამოართვან გლეხებს, მათ „დასამხარზედ“, სიახლოვეს ნაკლებია და შორს «ცხრა მთას იქით“ რომ მისცენ, რა უნდა ისარგებლოს. რა თქმა უნდა, რომ ადგილობრივ მემამულემ თავად-აზნაურთ მიწაზედ უნდა იმუშაონ. მუშამ მოსავლიდან უნდა მიუტანოს მეპატრონეს ზოგან ნახევარი ნაწილი, ზოგან მესამედი და ზოგან მეოთხედი; გარდა ამისა, ბევრგან ქცევაზედ ახდევინებენ ფულად მანეთს, „ნალეჟრობევს“ ორ ფუთს და ,,ნამეველევს'' ერთს ფუთს. ვერ ვიტყვით, რომ ღალის გადახდევინება ყველგან ადგილის სიავ-კარგეზე იყოს დამოკიდებული; ახდევინებენ, როგორც გაუვათ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბევრგან ჩვენი მიწები მძიმე სამუშაოა: რომ დახნავენ, გოროხები დიდრონ ლოდებივით ამოცვივდება და შემოდგომამდის არ იფხვნება და კიდევ ნოტიო სახამავ ადგილებში მუშაობით მუშას ციებ-ცხელება სიცოცხლეს უმწარებს, სიმრთელეს ურღვევს და უდროოდ სიკვდილს უსწრაფებს; დაწესებული ღალა, მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. ეს ერთი ხანია, სიმინდს სულ დაუვარდა ფასი, ,,მიწა გაუსქდა'' (ფუთი ექვს შაურად იყიდება) და მუშის შრომა ,,ჩალის ფასად'' გადის; ზოგ მემამულეს მაინც გაზრახვა აქვს მამულის ღალას მიუმატოს. რაც გინდა დიდი გადასახადი დასდოს მემამულემ ადგილის სარგებლობისათვის, კანონით ვერას დააკლებ და ვერც საყვედურს შეჰკადრებ; ,,ტაქსას'', ხომ ვერ დაუდებ; მისი სრული ხელ-შეუხებელი უფლებაა, როგორც უნდა, ისე გამოიყენოს თავის მამული. შეუძლია არც დიდის ღალით მოგცეს ადგილი და სახნავი მიწები. ასობით ვიცით ისეთი მაგალითი, მემამულე გასწყრომოდეს გლეხს და ებრძანებინოს: ,, შენი არც ღალა მინდა, არც არაფერი; ჩემს ადგილში არ ჩახვიდე არც საყანედ, არც საბალჩედ, ფეხი არ დააბიჯო, გაფრთხილებო.'' უკანასკნელს მეტი ,,რა საშველი და სახიდი'' აქვს, უნდა ,,აირეკოს'' საფუძველი, აიყაროს, გადაესახლოს და ან წოწიალი დაიწყოს აქეთ-იქით უსახლკაროსავით.

იქ, სადაც ყველა ადგილი ყანებად არის და გაზაფხულიდგან მოკიდებული ზამთრამდის შეღობილია და ხალხი იძულებულია თავიანთი საქონელი დაბმული იყოლიოს, აქამდის იქ არას ახდევინებდნენ, წელს-კი, ამ ხალხის ქესატობისა და გაჭირების დროს;—შემოიღეს ესრედ წოდებული ,,საბალახოს ფული'' და ახდევინებენ სულზედ, დიდ-პატარაზედ, ორ-ორ აბაზს და შემდეგისათვის ამ გადასახადს თანდათან მოუმატებენ. დიდ მემამულეთა უმრავლესობა კიდევ იჩენს ერთნაირ ღვთისნიერობას, ხოლო წვრილმანმა მემამულეებმა თავიანთ საკბილო გლეხების დაზოგვა და შებრალება არ იციან. ამის დასაბუთებლად მოვიყვან გურია-სამეგრელოს საზღვარზე მდებარე მამულის, სახელდობრ „ანჯელის“ და „ნოჯიხევის“ პატრონთ. ეს მამული ეკუთვნის აზნაურთ დიდიებს, კორძაიას, გვიჩიას და სხვათა. დიდი ხანია რაც ესენი შემოსავლიდან, სხვა წვრილმან გადასახადებს გარდა, ნახევარსა და მესამედ ნაწილს ახდევინებენ. მათ საზღვარზე მდებარე ადგილებში, არა ნაკლებ ნაყოფიერში, რომელიც დიდ მემამულეთ—თავად მაჭუტაძეებს ეკუთვნის—მოსავლიდგან მეოთხედ ნაწილის მეტს არ ახდევინებენ. „ანჯელში“ და „ნოჯიხევში“ მუშა გლეხი დიდ გაჭირებას ითმენს მოსავლის შენახვის დროს: მოსტეხენ სიმინდს, დაჰყრიან მიწაზე და უცდიან, სანამ მოვლენ ყველა მონაწილეთა დაყენებული კაცები. ამასობაში უსწრობს შემოდგომისა და ზამთრის სიცივეები, ხშირად ნიაღვარი წაიღებს კალოს, ხან ლპება სიმინდი დიდხანს მიწაზე ყრის გამო. ნამუშევარის აღების დროს რომ ყარაულობა და წყალში და ტალახში გაჩერება სჭირდება, მუშას ჯანის სიმრთელე ეკარგება. არც ერთ სოფელში არ არის ისე ხშირი სიკვდილი, როგორც ჯაჰანაში (გურიაში) მცხოვრებთა შორის. საქონლის ძოვნისათვის ხსენებულ მამულში არ არის გადაწყვეტილი, თუ რა უნდა იხადონ საქონლის თავზე. ვსთქვათ, გლეხი ადგილობრივ მებატონეს აძლევს „საბალახოს“ ფულს და მისმა ცხენმა გადიარა ,,ანჯელში'' ან ,,ნოჯიხევში'', სადაც არ არის შერიგებული და არც გაგირიგდება, დიდი ფასიც რომ მისცე გადაჭრით საქონლის ძოვნისათვის. მეველედ დაყენებულ ბიჭებისათვის ეს ,,მოძევაა'' დაიჭერენ, მამასახლისს არ გამოუცხადებენ. შეჯდებიან ორ-ორი, შემოიკვრენ ბარგ-ბარხნას და აჭენებენ, წინად შემჯდომთ რომ გზა დაელევათ, სხვებს გადასცემენ და მერე სხვა მათი ამხანაგები ხედნიან უმოწყალოდ და ზურგზედ ,,ტყავს გააშპობენ'' ამას სჩადიან, როცა ადგილი შეუღობავია, ყანად არ არის და მოტიტვლებულ-მოხრიოკებულია. თუ შენი თვალით ვერ უნახე შენი ცხენი და ჰკითხე, ჩემი ცხენი ხომ არ დაგიჭერიაო, უარს გეტყვის. როცა ცხენი ხედნას ველარ აიტანს და დავარდება, შემოგითვლიან, შენი ცხენი დაიხსენიო. პატრონი მიდის და უძნელდება თავის „ძვალ-ტყავად“, ცოცხალ ჩონჩხად გადაქცეულ ცხენის გამოცნობა და ეუბნება: რად მომიკალით ცხენი, რა შეგიჭამათ, რა შეგისვათ, ერთ წუთში გამომექცა, ჩემს აქ მოსვლამდე დაგიჭერიათ და დამიმალეთო“. დამჭერნი მრისხანეთ შესძახებენ: „ვიბრძანებენ, თქვენმა საქონელმა გზად არ გაიაროს ამ ადგილებშიო''. ახდევინებენ დაჯაბნების კვალობაზე, ვითომ ნამწყესურს, ერთიდგან ხუთ მანეთამდის. ვიცი, იტყვით, ამისთვის პასუხს აგებს დამნაშავეო, მაგრამ დაზარალებული სამართალში არ მიდის; რომ წავიდეს, რასაც მოსცდება და გაიტანჯება, იმდენს ვერაფერს მიიგებს, ისევ ემორჩილება ბედისწერას.

ყველასაგან რიგიან კაცად არის ცნობილი აზნაური გიგო დიდია, რომელსაც „ანჯელში'' და „ნოჯიხევში“ ყველა მონაწილეებზე ბევრად მეტი მამული აქვს. ბატონი გიგო დიდია ბევრს საქმეებს აწარმოებსა და სულ ნაკლები დრო და მოცალეობა აქვს და იქნება არც კი იცის, თუ ასე ეპყრობიან მისი და მის მონაწილეთა დაყენებული კაცები. იმედია, ყურადღებას მიაქცევს და უფრო წესიერებას და რიგიანობას დაამყარებს თავის მამულში.

მღ. თეოფანე კალანდარიშვილი

◆◆

ახალი ამბავი

⁂ ქართულის ხორის კონცერტი, რომელიც ხუთშაბათს, 9 ივნისს, უნდა ყოფილიყო, გადაიდო სადღესოთ. დღეს შესდგება ეს კონცერტი მიხეილის ბაღში ბ-ნი რატოლის ლოტბარობით. კონცერტი სადღესოდ გადადებულ იქმნა ხოროსაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

⁂ კავკავი; 26 მაისს. თექვსმეტს ამა მაისს, შუადღის შემდეგ, საათის სამი იყო, ცაზედ ღრუბლები აირია და ჩრდილოეთის მხარეს, კავკავზედ 9 ვერსის მოშორებით, ჩამოეშვა ციდგან გრძელი კუდიანი ღრუბელი. კუდი თან და თან გძელდებოდა, შემდეგ ერთბაშად კუდი გაიზნიქა სამხრეთისკენ ცოტახანს და ისევ პირდაპირ დაეშვა. მერე დედამიწიდგან, კუდიანის ღრუბლის პირდაპირ, ავარდა საშინელი შავი კორიანტელი, თითქო ორთქლ-მავალის შავი ბოლი იყოსო და, შეუერთდა ამ ღრუბელს. ამ სვეტში საშინელის სისწრაფით ადიოდა და ჩამოდიოდა რაღაც, თითქო კიბეზედ, ადიოდ-ჩამოდიოდეს რამეო. ამ საკვირველ მოვლენას დურბინდებით დავუწყეთ შინჯვა და ნამდვილად შევამჩნიეთ, რომ რაღაც ნივთები აჰქონდა კორიანტელს ზეცას. ასე გასტანა თითქმის ათ წამამდის და მერე გაშორდა, ერთი ნაწილი ზეცას გაიფანტა და მეორე სამხრეთისკენ გადაეშვა. აი რა მოეხდინა ამდროს ამ კუდიან ქარს: ცხრა ვერსით მოშორებით კავკავზედ მდებარეობს გერმანელების ახალშენი. მოხვედროდა აქ, ერთი ქვიტკირის სახლი დაენგრია, აგრეთვე ერთი ვეებერთელა ალვის ხე ძირიანად მოეგლიჯა და სად წაეღო, დღესაც არავინ იცის. შემდეგ სამხრეთისკენ გაევლო ჯარის ბანაკისკენ იქაც რამდენიმე ცხენი მოეტაცნა და ბევრი ზარალი მიეცა.

⁂ ბარის-ოსეთი. პირველი ზაფხული ჯერჯერობით, ძრიელ გრილად მიდის, ასე რომ დილა საღამოს დღემდის ზამთრის ტანისამოსსა ვხმარობთ. მომეტებულათ დიდი სიცივეები დაიჭირა 24 და 25 ამ მაისს. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ კავკასიონის მთები და მისი კალთები ამ დღეს ჩამოთოვლა. ჯეჯილებს ბარის-ოსებში არაფრად სანუგეშო პირი უჩანს; სათიბი ბალახები-კი ძრიელ მშვენიერია. სიმინდების თესვა ჯერ კიდევ არ გაუთავებიათ ბარის ოსებს ზოგ სოფლებში, თუმცა ასე ნაგვიანევი სიმინდები არაფერი სანუგეშოა პატრონისთვის.

⁂ სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა). სოფ. ბათაყოში ამ ჟამად ყელჭივრება მძვინვარებს და საკმაო ზარალსაც აძლევს მცხოვრებლებსა ერთი კვირის განმავლობაში, ამ სოფელში მცხოვრებს ზაქარია კუბალოვს ოთხი შვილი გარდაეცვალა ამ სენით. საკვირველი ის არის, რომ ბარის ოსების სოფლებში, ყოველწლიწადს არ ილევა სხვა-და-სხვა გადამდები სენი. ეს იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ ბარის ოსებმა მორიდება და გაფრთხილება არ იციან გადამდებ სენის დროს ერთმანეთში.

⁂ „Нов. Вр.“-ს სიტყვით, ამ ცოტა ხანში კავკასიაში ჩამოვა საფრანგეთის არქეოლოგი და ნუმიზმატიკოსი ტერნენი.

⁂ 8 ივნისს წყალის საზიდ ქუჩაზედ მცხოვრებელმა თ. დავით აბაშიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ სახლის აივნიდგან 120 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთეულობა მომპარესო.

⁂ ამავე დღეს შუშის მცხოვრებელმა ნიკიტა ხაჩიევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სამასი მანეთი მომპარესო. ეჭვი გამოაცხადა თელავის მცხოვრებელ ალექსანდრე აბრამოვზედ, რომელიც უკვე შეიპყრეს.

◆◆

რუსეთი

ამას წინად გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს დააარსოს განსაკუთრებული კომისია მუსულმანთა სკოლისა, მწერლობისა და სხვა საგნების განსახილველადაო. ამ კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას მუსულმანთა წარმომადგენელნიცაო. გაზ. Нов. Вр. ამბობს ახლა, რომ ამ საქმეს რაღაც დაბრკოლება გადაეღობაო. გაზეთი იუწყება:

„ამ დღეებში მოვიდნენ პეტერბურს ყაზანიდამ თათრების წარმომადგენელნი, და მონაწილეობა უნდა მიეღოთ იმ კომისიაში, რომელსაც უნდა განეხილა თათართა საქმენი (სასკოლო, ცენზურისა და სხვ.) ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საქმეს თათართათვის არა სასიამოვნო მიმართულება მისცემია: კომისია, მგონია, სულაც აღარ იქნება დაარსებული».

◆◆

სასამართლოს მატიანე

18 მაისს ამა წლის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტში განიხილეს საქმე „Нов. Об.“-ის ყოფილის რედაქტორის ბ. უსპენსკისა, რომელსაც ცილის დაწამება ბრალდებოდა.

ამტყუნებდა ბ. უსპენსკის ბ. პლიუშჩევსკი და დამცველად უსპენსკისა იყო ბ. ყორდანოვი, რომელსაც თვით სამოსამართლო პალატამ მიანდო ამ საქმის დაცვა.

სამოსამართლო პალატამ, რომელშიაც თავმჯდომარეობდა ა. ი. ფრანცოვი, მსაჯულებად იყვნენ: თ. დ. კერხოვსკი და ტ. ტ. გლებანოვსკი, 30 მაისს გამოაცხადა შემდეგი განჩინება: პალატამ მოისმინა რა საქმე, თანახმად აპელაციორის საჩივრისა ბ. პლიუშჩევსკისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომლითაც ბ. პლიუშჩევსკი მიხაილ უსპენსკის ბრალსა სდებდა იმ დანიშნულებაში, რომელიც სისხლის კანონის 1535 მუხლის ძალით ისჯება განაწესა: ყოფილის რედაქტორად „Нов. Об.“-ისა, სამსახურიდამ დათხოვნილი კაპიტანი მიხეილ ალექსის ძე უსპენსკი, ცილის დაწამებისათვის კერძო ვექილის გ. პლიუშჩევსკისა, როგორი ცილის დაწამებაც დაბეჭდილი იყო 10 ნოემბერს 1888 წ.

„Нов. Об.“-ის მე-1688-ში, საფუძვლისა ძალით 2 მუხ. 1535, 149, 3 მუხ. 38, 134, 135, 1 მუხ. 39 და 1535 კანონით სისხლის სამართლისა, დაპატიმრებულ იქმნას სამხედრო სატუსაღოში ხუთის კვირით; გარდა ამისა თანახმად ცილ დაწამებულის გ. პლიუშჩევსკის სურვილისა, ეს განჩინება დაიბეჭდოს დამნაშავის ხარჯით გაზეთ „კავკაზში“, რომელსაც საგუბერნიო უწყების მნიშვნელობა აქვს; ამ გვარივე სასჯელი მისჯილი დამნაშავისადმი 19 იანვარს 1891 წელსა, თანახმად სისხლის სამართლის 152 მუხლის წესდებისა, უნდა დაითვალოს ამ უკანასკნელი განჩინებით განწესებულის სასჯელისა, განჩინება ოლქის სასამართლოსი დაირღვეს; ეს განჩინება ძალაში შესვლისა არ იქნება მოყვანილი აღსრულებაში მანამდის, სანამდის სხვა საქმეები, შესახებ მიხაილ უსპენსკისა, არ დაბოლოვდება“.

ზემოხსენებულის განჩინებით სასამართლო პალატისა 19 იანვარს, 1891 წელსა, მიხაილ უსპენსკი ერთი თვით უნდა დაპატიმრდეს სამხედრო სატუსაღოში გარდა ამისა გარდაიხადოს ჯარიმა 250 მანეთი.

◆◆

გასართობი

—

ვიღაც უცხო კაცი საბერძნეთში მივიდა ძველის ნაშთების დასათვალიერებლად და სულ ცალ ფეხზედ იყო გაჩერებული. მაყურებელთ უკვირდათ მისი ასეთი საქციელი. მაშინ ამ უცხო ქვეყნელმა სულელმა უთხრა ერთს სპარტანელს:

— თქვენ ხომ არ შეგიძლიანთ ასე დიდხანს ცალ-ფეხზე გაჩერება?

— მართალია, უპასუხა ბერძენმა, მე არ შემიძლიან, მაგრამ ჩვენში ყველა ბატს-კი შეუძლიან თქვენსავით ცალ ფეხზედ დგომა.

**

ის, ვინც სხვისის ნაკლულევანების შემჩნევას სცდილობს, იმ მხატვარს ჰგავს, რომელმაც ფარშევანგისა მარტო უშნო ფეხები დახატა და იმისი მშვენიერი ფრთები და კუდი დაავიწყდა.

**

ერთმა ისპანიელმა გრანდმა გაუგზავნა საჩუქრად მეორე გრანდს ერთი წყვილი ჩინებულის ჯიშის ცხენი და ასე შეუთვალა: „გიგზავნით, ბატონო, ორს ჩემის ჯოგის საუკეთესო ცხენს და გთხოვთ ისე ფაქიზად და სათუთად მოეპყრათ, როგორც გენებებოდათ, რომ მოგეპყრობოდნენ თქვენ, ცხენად რომ გაჩენილიყავით.

◆◆

გამოსადეგი ცოდნა

—

უბრალო საშუალება თიხის ჭურჭლის დასაკოწიწებლად. ამ საშუალებას ასახელებს საფრანგეთის ქიმიკოსი დიმულენი. იმ ჭურჭელში, რომელიც დასაკოწიწებელია, ჩაავდეთ 3 ან 5 ნაჭერი შაქარი, დაასხით წყალი და დასდგით ცეცხლზედ. როდესაც შაქარი დადნება და შარბათი გაკეთდება, მაშინ ეს შარბათი გადაასხით ამ ჭურჭელს რამდენჯერმე იმ ადგას, სადაც გაბზარულია, ჭურჭელი კი ცეცხლიდგან არ გადმოდგათ. ეს შარბათი გაუვლის გაბზარულში დანახშირდება და მიაკოწიწებს.

დიმულენი ამ საშუალებას ამჯობინებს უფრო ქიმიკურ ლაბორატორიისთვის, სადაც თიხის ჭურჭელი ხშირად დასკდება ხოლმე ძლიერის ცეცხლისა გამო, მაგრამ ამავე ქიმიკოსის სიტყვით ეს საშუალება ოჯახშიაც გამოსადეგია, განსაკუთრებით იმ თიხის ჭურჭლისთვის, რომელშიაც საჭმელი იხარშება. ასე დაკოწიწებული ჭურჭელი არავითარი გემოს არ აძლევს და ისე დ დხანსა სძლებს, როგორც მთელი.

◆◆

დეპეშა

8 ივნისი

პარიჟი. საერო განათლების მინისტრმა აუწყა მინისტრთა საბჭოს, რომ ქ-ნ მონტებელლოს პირით მადლობა შეუთვალე რუსეთის ქალებს 18,000 ფრანკის გამოგზავნისათვის, რომლითაც ერთს რომელსამე დედათა სასწავლებელში უნდა დაარსდეს სტიპენდია. ამ სტიპენდიის ეწოდება „სტიპენდია მშვიდობიანობისა“.

ტანჟერი. აბდულ-აზიზის უფროსმა ძმამ მულეიჲ-მაჰმადმა მოაწერა ხელი იმ ქაღალდზედ, რომლითაც აბდულ-აზიზს სულტანად აღიარებს. მშვიდობიანობა ჰსუფევს.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7,_{48}$	$7,_{51}$	— „
ტამოჟნის კუპონები .	$149^1/_2$	$150^1/_4$	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— „	— „	$248^3/_4$
—მეორისა	— „	— „	$225^1/_2$
4% მესამე სესხისა. .	— „	— „	— „
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— „	— „	$190^3/_4$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— „	— „	— „
5%	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკის 6%.	— „	— „	— „
5%.	— „	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	— „

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი- ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლღასკუჩედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—165)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—3)

500 **წიგნი** ინგლისური, ფრანგული და ნემეცური მეოთხედ ფასად ისყიდება უფალ მ. მურტაგთან, რომელიც ინგლისში ბრუნდება. ადრესი: ლაბორატორის ქუჩა, № 4, ეზოში, 10-დამ 3 საათამდის.

იქვე იაფად: ბროლის სათვალეები, სკრიპკა, ფლეიტა, „rewues“ შვიდ კაპეიკად.

(4—3)

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
ახალი ბროშურა კარიკატურებით
ჩვენებური
რამე-რუმე
ფიქრი და შენიშვნანი
პატარა კაცისა
ფასი ერთი აბაზი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—12)

ჩემს ახლად დაარსებულ
ღვინის სარდაფში
(გოლოვინის პროსპექტი და კრუზენშტერნის ქუჩა, სახლი დობრჯანსკისა № 1 და 18)

ისყიდება ნამდვილი კახური ჩემისავე საკუთარის ვენახების ღვინოები, სოფ. ყვარლისა და რუისპირიდგან ჩამოტანილი. დავაარსე იმ აზრით, რომ როგორც ადგილობრივ, ისე კავკასიის გარეშეც გატანილ იქმნას და გავრცელდეს ნამდვილი, შეურეველი კახური ღვინო. ღვინო ისყიდება ნარდადაც და წვრილ-წვრილადაც.

ბოთლი ღვინო ჰღირს 15 კაპ. 60 კაპიკამდე, ვედრო თერთმეტ აბაზიდგან რვა მანეთამდე.

თავ. გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე
(6—1324—2)

გამგეობა ტფილისის ქონების ცეცხლისაგან საურთიერთო დაზღვევ საზოგადოებისა
აუწყებს ბბ. წევრთ ამ საზოგადოებისას, რომ
საგანგებო კრება
რადგან არ მოხდა 29 მაისს, ამიტომ ამ საზოგადოების § 27 დაწესებულების ძალით, გადადებულ იქმნა და
დანიშნულია 12 ივნისს
კვირას, დილის 10 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

„ნევის კაპრიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები
ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის
„მიუსკ“ საპ. და ოდეკ.
სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.
„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.
საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—44)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაბაში.
ტურბინები
წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.
В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

Дозволено цензурою Тифлисъ, 9-го Іюня 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.